

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში



მომხსენებელი მუნიციპალიტეტის მერი - ნიკოლოზ თოფურიძე

საანგარიშო პერიოდი - 2019 წელი (იანვარი-დეკემბერი).

ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგარეშე) - რიგითი

მერია თავის ყოველდღიურ საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“, მერიისა და მერიის სტრუქტურული ერთეულების დებულებებით და სხვა ადმინისტრაციული აქტებით.

2019 წელს ისევე, როგორც გასულ წლებში ხარაგაულში პრიორიტეტული მიმართულება იყო საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სფერო, კულტურის, განათლების და ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება და ხელშეწყობა.

მიუხედავად პროგრესული განვითარებისა, რაც ნამდვილად თვალშისაცემია, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მუდმივად ვდგავართ გამოწვევების წინაშე. სწორედ ამიტომ მერიის გუნდი, სამხარეო ადმინისტრაციასთან და ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად პერმანენტულად ახორციელებს უწყებათაშორის კონსულტაციებს, რათა ერთობლივად შევისწავლოთ, მოვიკვლიოთ და გავაანალიზოთ ის ხარვეზები რაც გვაქვს, რომ მომავალში დაგეგმილი სიკეთეები დროულად მიიღოს მოსახლეობამ.

მოკლედ მოგახსენებთ საანგარიშო პერიოდში მერიის სტრუქტურული ერთეულების მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

მერიის ორგანიზაციული საქმიანობის სფერო:

მერიის საშტატო ნუსხა განსაზღვრულია **132** ერთეულით, საიდანაც დასაქმებულია - **124**, ვაკანსიაა - **8**. შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულია - **17** პირი. ყველა მათგანი დანიშნულია საკონკურსო-საატესტაციო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე.

2019 წლის განმავლობაში შემოსულია **8 168** კორესპოდენცია, მიღებულ კორესპონდენციებზე პასუხების გაცემა ხდება კანონით დადგენილ ვადებში. გასული დოკუმენტების რაოდენობაა

- **6 849.** ამ პერიოდისთვის გამოცემულია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის **2 357** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ხოლო საკუთრების უფლების აღიარების კომისიის -

1 003 განკარგულება.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო საქმიანობის სფერო:

ბიუჯეტის დაგეგმვისას ვხელმძღვანელობთ მოსახლეობის მოთხოვნებიდან გამომდინარე და პრიორიტეტებს მათთან შეხვედრების დროს გამოთქმული მოსაზრებებით განვსაზღვრავთ.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი განისაზღვრა **7 725 800** ლარით, წლის განმავლობაში განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილებების შედეგად ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში გაიზარდა **8 154 398** ლარით და განისაზღვრა **15 880 198** ლარით.

2019 წელს ხარაგაულმა ფაქტიურად მიიღო **16 554 739** ლარის შემოსულობები, რაც დაგეგმილზე **674 513** ლარით მეტია და წლიური გეგმა შესრულდა **104,2** პროცენტით.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტმა გადაჭარბებით შეასრულა 2019 წლის ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების გეგმა და დამატებით მიიღო **904 285** ლარი. გადაჭარბებით შესრულდა გადასახადების გეგმა, როგორც ქონების გადასახადის ასევე დღგ -ს ნაწილში. რაც შეეხება 2019 წელში სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილ ტრანსფერებს, დაგეგმილი **6 866 698** ლარიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტმა მიიღო **6 651 972** ლარი, **96, 9** პროცენტი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტი გადასახდელების ნაწილში განისაზღვრა **20 569 652** ლარით, ხოლო ფაქტიურად გაწეულია **16 351 758** ლარი.

მუნიციპალიტეტის მერიამ ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვისა და განკარგვის სფეროში განახორციელა შემდეგი საქმიანობა:

მიმაჩნია, რომ მერიის ეკონომიკის და ქონების მართვის სამსახური არის ერთ-ერთი წარმატებული სტრუქტურული ერთეული მერიაში, რომელიც გადაჭარბებით ასრულებს გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებულ გადასახდელებს და გუნდთან ერთად საკმაოდ ეფექტიანად მუშაობს. მოკლედ მოგახსენებთ ქონების მართვის სფეროში საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ საქმიანობას.

ქონების მართვა და განკარგვა

იჯარებიდან, დასუფთავების მოსაკრებლიდან და არაფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსავლები.

დასუფთავების მოსაკრებლის ხელშეკრულება გაფორმებულია **72** იურდიულ პირთან. 2019 წელს დასუფთავების მოსაკრებლის გეგმა შესრულდა გადაჭარბებით - **124%**. დაგეგმილი **30 000** ლარის ნაცვლად ბიუჯეტში შემოსულია - **43 473** ლარი.

2019 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებებიდან შემოსულია **82 157** ლარი, რაც იმას ნიშნავს, რომ გეგმა შესრულდა გადაჭარბებით - **183 %**. დაგეგმილი იყო **45 000** ლარი.

ასევე გადაჭარბებით შესრულდა შემოსავლები არაფინანსური აქტივების კლებიდან. 2019 წელს ბიუჯეტის მიხედვით დაიგეგმა **15 000** ლარი, ხოლო შემოსულია **48 881** ლარი. გეგმა შესრულდა 326 %-ით.

განვლილი 2019 წლის განმავლობაში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე ქონების მართვის სააგენტოს მიერ, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული

უმრავი ქონებიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემულია დამატებითი ქონების კატეგორიის **13** ობიექტი.

აღნაგობით, იჯარით აუქციონის წესით და პირდაპირი განკარგვით 2019 წლის 1 იანვრიდან დღემდე ფართები გადაეცა **15** ობიექტს.

ეკონომიკური განვითარება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია ჩართულია პროექტში „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“, რომლის ფარგლებშიც ხარაგაულის ისტორიაში პირველად მომზადდა მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი, რომელიც 2020-2023 წლების გეგმას მოიცავს. აღნიშნული დოკუმენტი მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა ჯაბა ბერაძემ, ნოემბრის თვეში გააცნო საზოგადოებას, რომელსაც როგორც სამოქალაქო, ასევე, კერძო სექტორისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ, სადაც გაიწერა შეხვედრების გრაფიკი, შეირჩა ფოკუს ჯგუფები, რომლებიც გამართავენ სამუშაო შეხვედრებს. გეგმა დასამტკიცებლად მიმდინარე წელს გაეგზავნება საკრებულოს.

მუნიციპალიტეტის მერია, შესაძლებლობის ფარგლებში, მაქსიმალურად უწყობს ხელს ხარაგაულის ტერიტორიაზე მიმდინარე მასშტაბური პროექტების მშენებელ კომპანიებს, რათა მოხდეს ადგილობრივების დასაქმება და დასაქმებული მუშა-ხელის საყოფაცხოვრებო მოთხოვნები დაკმაყოფილებულ იქნას ადგილობრივ ბაზარზე. ამ მიზნით, 2019 წელს ხარაგაულის მერია აქტიურად ჩაერთო საავტომობილო გზების დეპრტამენტის და აზიის განვითარების ბანკის ერთობლივ პროექტში, რაც ძირულა-ხარაგაული-ჩუმათელეთის გზის მშენებლობის ვადაში ადგილობრივი მოსახლეობის მეწარმეობისთვის და მცირე ბიზნესის განვითარებისთვის დატრენინგებას და გადამზადებას გულისხმობდა. ორჯერ ჩატარდა სასარგებლო სწავლებები, რომლებსაც დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ.

აქვე მინდა შევეხო მუნიციპალიტეტის ქონების ინვენტარიზაციის საკითხს, რომელიც 2019 წელს დაიწყო. როგორც მოგეხსენებათ, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიაში მოქმედებს „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ქონების მიზნით შექმნილი საინვენტარიზაციო კომისია“. აღნიშნული კომისია 2019 წლის დეკემბრის თვიდან საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაცია „სათეფა“-სთან ერთად ახორციელებს ინვენტარიზაციას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, რომელიც დასრულდება 2020 წლის თებერვლის თვეში. ფინანსისტთა ასოციაცია ვალდებულია ინვენტარიზაციის დასრულების შემდეგ მოახდინოს ძირითადი აქტივების სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში ასახვა, რომელიც მნიშვნელოვნად გაამარტივებს მუნიციპალური ქონების მართვას, განკარგვას და მონიტორინგს.

მუნიციპალიტეტის მერია ინფრასტრუქტურის განვითარების სფეროში:

თავს ვალდებულად ვთვლი, ამ ნაწილში უფრო კონკრეტულად და დეტალურად მოგახსენოთ, როგორც შედეგების, ასევე გამოწვევების შესახებ.

პირველ რიგში, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახურმა და ჩვენ, გუნდმა, მთელი წლის განმავლობაში ერთობლივად ვიმუშავეთ, მოგვეკვლია, შეგვესწავლა და გამოგვევლინა ის გარემოებები და ხარვეზები, რის გამოც ინფრასტრუქტურის განვითარებაში გარკვეული გამოწვევების წინაშე დავდექით.

აქვე აუცილებელია აღინიშნოს, ბოლო სამი წლის განმავლობაში ხარაგაულის მუნიციპალიტეტისთვის დამატებითი თანხების მობილიზებამ და პროექტების 3-4 ჯერ მატებამ შექმნა სხვადასხვა სახის

გაუთვალისწინებელი პრობლემები, მათ შორის ყველაზე გლობალური პრობლემა არაკეთილსინდისიერი კომპანიების ტენდერებში გამარჯვებით იყო გამოწვეული.

ჩვენ, მერიის მაღალი თანამდებობის პირები, რომლებიც შესაბამის სფეროს ვკურირებდით, ერთობლივად ვაღიარებთ, რომ ვერ მოვახდინეთ მათი მისამართით დროული რეაგირება, რამაც მიგვიყვანა ასეთ მდგომარეობამდე. ჩვენ ვმოქმედებდით კანონის ფარგლებში, თუმცა ვითვალისწინებდით სუფთა ადამიანურ ფაქტორებს. მნიშვნელოვანია, ჩვენმა მოსახლეობამ იცოდეს, რომ დაწყებული პროექტები აუცილებლად დასრულდება. ჩვენ მუდმივ რეჟიმში ვახდენდით მათ ინფორმირებას და სოფლებში შეხვედრების დროს ღიად ვსაუბრობდით ინფრასტრუქტურის განვითარებაში არსებულ გამოწვევებზე, რაც ხშირ შემთხვევაში ჩვენგან დამოუკიდებელი მიზნებით იყო გამოწვეული.

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევების და დაკვირვების ფონზე, რაზეც ზემოთ გესაუბრეთ, რომელშიც ჩართული იყო სამხარეო ადმინისტრაცია, მოვახდინეთ ახალი, უფრო დახვეწილი პროექტების შექმნა, რომლებშიც მოსალოდნელი რისკები მინიმუმამდეა დაყვანილი. სწორედ ამის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2020 წელს საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობაში აქამდე არსებული გამოწვევების წინაშე ნაკლებად დავდგებით.

2019 წელს რეგიონული განვითარების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტს ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად გამოეყო **4 667 658** ლარი, მოხდა **22** პროექტის მომზადება, პროექტის ფარგლებში მოხდება **30** კილომეტრი გზის რეაბილიტაცია და **276 888** ლარის ღირებულების სანიაღვრე არხების მოწყობა:

პროექტის „გზა ყველა სოფელს“ ფარგლებში რგფ-ის 2019 წლის სტისტიკა ასეთია: ხელშეკრულება გაფორმდა **22** პროექტზე, დასრულებულია **8** პროექტი, მიმდინარეა **10** პროექტი. ტენდერზეა **2** პროექტი, შერჩევა-შეფასებაზეა **1** პროექტი, შეწყდა **1** პროექტი.

დასრულებული პროექტები:

სოფელ **სადანძილის** გზის რეაბილიტაცია - 180,305 ლარი; სამუშაოები დასრულებულია.

სოფელ **კიცხში** ავალიშვილების უბანში გზის რეაბილიტაცია-167,057 ლარი; სამუშაოები დასრულებულია;

სოფელ **საქარიქედის** საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი)-144,307; სამუშაოები დასრულებულია;

სოფელ **ლაშეში** კიკალიშვილების საუბნო გზის რეაბილიტაცია-109,195 ლარი; სამუშაოები დასრულებულია;

საბე-სარგვეშის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია-673,695 ლარი; სამუშაოები დასრულებულია;

სოფელ **ისლარში** გზის რეაბილიტაცია-250,000 ლარი; სამუშაოები დასრულებულია.

ბაზალეთში საუბნო გზების რეაბილიტაცია (ნანიტაშვილები, შერგელაშვილები)- 213,000 ლარი; სამუშაოები დასრულებულია.

სოფელ **ლუდუმეჭეთის** გზის რეაბილიტაცია-80,000 ლარი; სამუშაოები დასრულებულია.

პროექტები, სადაც მიმდინარეობს სამუშაოები

სოფელ **მოლითის** ცენტრალური გზის რეაბილიტაცია-266,768 ლარი; მშენებელი წერილობით და სიტყვიერად იქნა გაფრთხილებული! გეგმა-გრაფიკის დარღვევის გამო შეუწყდა ხელშეკრულება, გაიმიჯნა შესრულებული და დარჩენილი სამუშაოები, გამოცხადდა განმეორებითი ტენდერი, მიმდინარეობს სამუშაოები.

სოფელ **ბაბში** გზის რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი)-171,247 ლარი; მშენებელი წერილობით და სიტყვიერად იქნა გაფრთხილებული! გეგმა-გრაფიკის დარღვევის გამო შეუწყდა ხელშეკრულება, გაიმიჯნა შესრულებული და დარჩენილი სამუშაოები, გამოცხადდა განმეორებითი ტენდერი, მიმდინარეობს სამუშაოები.

სოფელ **თეთრაწყაროში** გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი)-300,000 ლარი; მშენებელი წერილობით და სიტყვიერად იქნა გაფრთხილებული გეგმა-გრაფიკის დარღვევის გამო! სამუშაოები მიმდინარეობს ჯარიმის თანხლებით!

სოფელ **წყალაფორეთში** ბაღის უბნის გზის და გაბეხაძეების უბნის გზის რეაბილიტაცია-340,000 ლარი; მშენებელი წერილობით და სიტყვიერად იქნა გაფრთხილებული! გეგმა-გრაფიკის დარღვევის გამო შეუწყდა ხელშეკრულება, გაიმიჯნა შესრულებული და დარჩენილი სამუშაოები, გამოცხადდა განმეორებითი ტენდერი, მიმდინარეობს სამუშაოები.

სოფელ **ლეღვანში** სკოლისკენ მიმავალი გზის რეაბილიტაცია-150,000 ლარი; სტიქიის გამო ჭირდა ობიექტამდე გადაადგილება, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე შეუწყდა ხელშეკრულება. თანხა დაბრუნდა უკან, პროექტი ხორციელდება სტიქიის ფონდიდან, მიმდინარეობს სამუშაოები;

სოფელ **ხორითის** ცენტრალური გზის რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი)- 225,000 მშენებელი წერილობით და სიტყვიერად იქნა გაფრთხილებული გეგმა-გრაფიკის დარღვევის გამო, ჯარიმის თანხლებით მიმდინარეობს სამუშაოები;

სოფელ **სარგვეშის** სასოფლო გზის რეაბილიტაცია (ცისკაძეების უბანი) - 379,231 ლარი; მშენებელი წერილობით და სიტყვიერად იქნა გაფრთხილებული გეგმა-გრაფიკის დარღვევის გამო, სამუშაოები მიმდინარეობს ჯარიმის თანხლებით!

სოფელ **ვერტყვილაში** ბლიაძეების და გოგიაშვილების საუბნო გზის რეაბილიტაცია - 159,724 ლარი; მიმდინარეობს სამუშაოები - შესრულებულია 95%. პროექტის მიმდინარეობისას გამოიკვეთა გზის მიმდებარედ მდებარე სახლის საყრდენი კედლის ჩამონგრევის საშიშროება ასევე, სატკეპნი მანქანის მრავალჯერადი გამოყენების მიუხედავად ვერ იღებდა ტკეპნის კოიფიციენტს, რის გარეშეც ბეტონის მოწყობის სამუშაოები ვერ განხორციელდებოდა, სამუშაოები მიმდინარეობს ჯარიმის თანხლებით.

სოფელ **დეისის** მეორე უბნის გზის რეაბილიტაცია - 100,000 ლარი; მშენებელი წერილობით და სიტყვიერად იქნა გაფრთხილებული გეგმა-გრაფიკის დარღვევის გამო, ამოქმედდება ხელშეკრულების 13-ე მუხლით გათვალისწინებული სანქციები. შეუწყდა ხელშეკრულება გამოცხადდა განმეორებითი ტენდერი მიმდინარეობს სამუშაოები.

სოფელ **ზედუბანის** გზის რეაბილიტაცია-241 962 ლარი - მიმდინარეობს სამუშაოები;

პროექტები, რომლებიც ტენდერზეა და მიმდინარეობს შერჩევა-შეფასება:

სოფელ **ხიდარში** ჯორტების საუბნო გზის რეაბილიტაცია - 153,471 ლარი; მშენებელმა ჩაატარა გარკვეული სახის სამუშაოები, ვადაგადაცილების გამო შეუწყდა ხელშეკრულება, გაიმიჯნა შესრულებული და დარჩენილი სამუშაოები, გამოცხადდა განმეორებითი ტენდერი.

სოფელ ფარცხნალში ბარის უბნის გზის რეაბილიტაცია - 137,000 ლარი; მშენებელმა ჩაატარა გარკვეული სახის სამუშაოები, ვადაგადაცილების გამო შეუწყდა ხელშეკრულება, გაიმიჯნა შესრულებული და დარჩენილი სამუშაოები, გამოცხადდა განმეორებითი ტენდერი. მიმდინარეობს შერჩევა-შეფასება;

სოფელ ლუდუმეკეთის გზის რეაბილიტაცია - 168 170 ლარი; მშენებელმა ჩაატარა გარკვეული სახის სამუშაოები, ვადაგადაცილების გამო შეუწყდა ხელშეკრულება, გაიმიჯნა შესრულებული და დარჩენილი სამუშაოები, გამოცხადდა განმეორებითი ტენდერი.

გარდამავალი პროექტი

სოფელ ზარნის გზის რეაბილიტაცია - 196 878 ლარი. ტენდერი არ შედგა რამდენჯერმე, ამ ეტაპზე მიმდინარეობს სამუშაოები გეგმაგრაფიკის დარღვევის გამო ჯარიმებით. პროექტი გახდა გარდამავალი 96 878 ლარის ათვისება მოხდება 2019 წელს, ხოლო 100 000 ლარი გადავიდა 2020 წელში.

მაღალმთიანი

2019 წელს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტს საქართველოს მთავრობის 12 აპრილის N815 განკარგულებით გამოეყო 245 100 ლარი, მოზადდა სოფელ გოლათუბანში სხვერის და სადგურის უბნის გზის რეაბილიტაციის პროექტი, გამოცხადდა ელ.ტენდერი, გამოვლენილია გამარჯვებული სამუშაოები მიმდინარეობს გეგმა-გრაფიკის მიხედვით.

ადგილობრივი ბუჯეტი

2019 წელს ადგილობრივი დაფინანსებით განხორციელდა და მიმდინარეობს 7 პროექტი ჯამში 138 049 ლარი:

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შენობა ნაგებობების მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო სამუშაოების შესყიდვა - 42,000 ლარი -შპს „სითი ართ დეისი“.

რადარის შესყიდვა - 24,700 ლარი შპს „ემ-სი ტექნოლოჯი“

საკადასტრო აზომვითი ნახაზები და საინჟინრო მომსახურებები - 2,675 ლარი.

სოლომონ მეფის ქ.N90 ში მდებარე მრავალბინიანი სახლის რეაბილიტაცია - 48,884 ლარი.

გზების მოვლა შენახვა - 16,000 ლარი.

სოფელ სარგვეშის წისქვილისათვის სამფაზა მრიცხველის შესყიდვა - 190 ლარი.

საკრებულოს ოთახების რეაბილიტაცია - 3,600 ლარი.

საჯარო სკოლების რეაბილიტაცია

2019 წელს საჯარო სკოლების რეაბილიტაციისთვის ხარაგაულს გამოეყო 410 000 ლარი. აღნიშნული თანხით მომზადდა 2019 და 2020 წლის პროექტები. პროექტის ფარგლებში საჭიროებიდან და პრიორიტეტულობიდან გამომდინარე ხდება საპირფარეშოების, სართულშუა გადახურვების, იატაკების და სახურავების რეაბილიტაცია. გამოყოფილი თანხა, საგანმანათლებლო რესურსცენტრთან შეთანხმებით გადანაწილდა 10 სკოლის რეაბილიტაციაზე:

სკოლების რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;

2020 წლის სარეაბილიტაციო სკოლების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;

მოლითის საჯარო სკოლის სახურავის რეაბილიტაცია;

N3 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია;

N2 სკოლის თეთრაწყაროს კორპუსის რეაბილიტაცია;

ღორემის სკოლის ოთახების და სველი წერტილების რეაბილიტაცია;

ნადაბურის საჯარო სკოლაში სველი წერტილების რეაბილიტაცია;

ბორის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია;

ბორითის საჯარო სკოლაში პანდუსის მოწყობა;

ლედვნის საჯარო სკოლის სველი წერტილების მოწყობა;

ხიდრის საჯარო სკოლის სველი წერტილების მოწყობა;

სადანძილის სკოლის რეაბილიტაცია.

ჯამში დაფინანსებული **12** პროექტიდან დასრულებულია **-11**, მიმდინარეობს ერთი პროექტი, რომელიც 2020 წლის პროექტების მომზადებას ითვალისწინებს.

სკოლების რეაბილიტაცია ხდება სხვა ფონდებიდანაც, მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ 2019 წელს გამოცხადდა და შედგა ტენდერი მარელისის, ვერტყვიჭალის და წყალაფორეთის საჯარო სკოლების რეაბილიტაციისთვის საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვაზე. ასევე, დასრულებულია ტენდერი, ხელშეკრულება გაფორმებულია და სამუშაოები მიმდინარეობს კიციხის საჯარო სკოლის პროექტირება - რეაბილიტაციაზე, რომლის ღირებულება **2 470 043** ლარია.

ამბულატორიები

2019 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რეაბილიტაცია ჩატარდა ოთხ სასოფლო ამბულატორიას. სამუშაოები ჩატარდა მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი **53 600** ლარის ფარგლებში.

ამბულატორიების რეაბილიტაციისათვის საჭირო ხარჯთაღრიცხვების მომზადება - **3,120** ლარი (ადგილობრივი ბიუჯეტი);

ხიდრის ამბულატორიისათვის ოთახების რეაბილიტაცია - **6,127** ლარი;

წყალაფორეთის ამბულატორიის რეაბილიტაცია - **20,273** ლარი;

ფარცხნალის ამბულატორიისათვის ოთახების რეაბილიტაცია - **11,947** ლარი;

ვახანის ამბულატორიისათვის ოთახების რეაბილიტაცია - **13,600** ლარი;

ამ ეტაპზე ოთხივე ამბულატორიაზე სამუშაოები დასრულებულია, მიმდინარეობს ობიექტზე ზედამხედველის მიერ გამოთქმული შენიშვნების გასწორება.

საჯარო სკოლების და ამბულატორიების რეაბილიტაცია გაგრძელდება 2020 წელს.

უნდა აღინიშნოს, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში საჯარო სკოლების და ამბულატორიების რეაბილიტაცია ასე მასშტაბურად ბოლო რამდენიმე წელია არ განხორციელებულა.

სტიქიის პრევენცია

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ 2019 წელს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის პრევენციული ღონისძიებების გატარება დაიგეგმა. მიმდინარე წლის ზაფხულის თვეში მუნიციპალიტეტში მომხდარი

სამი ძლიერი სტიქიის შედეგად მიყენებულმა ზარალმა ნათლად დაგვანახა, რომ სტიქიის პრევენციის მიზნით სერიოზული და მასშტაბური სამუშაოებია ჩასატარებელი. ამიტომ მერიის შესაბამისი სამსახურების უფროსებმა და ჩვენ, ყველამ ერთად სერიოზულად ვიმუშავეთ იმისთვის, რომ სტიქიის პრევენციის მიზნით ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ეტაპობრივად, ყოველწლიურად განხორციელდეს სამუშაოები.

2019 წელს სტიქიის პრევენციისთვის მთავრობის განკარგულებით მუნიციპალიტეტმა უკვე მიიღო 298 504 ლარი, აღნიშნულ თანხით დაფინანსდა 5 პროექტი. დაფინანსებული 5 პროექტიდან 4 დასრულებულია, ესენია: სოფელ ბორითში, ანგარის უბნის ხიდის და გზის დამცავი კონსტრუქციის მშენებლობა, სოფელ ღორეშაში მდინარისაგან გზის დამცავი კონსტრუქციის მშენებლობა, სოფელ ვარძიაში სახიდე გადასასვლელი კონსტრუქციის მშენებლობა და სოფელ ვანში მდინარისაგან გზის დამცავი კონსტრუქციის მშენებლობა;

ერთ პროექტზე, რომელიც დაბა ხარაგაულში და მიმდებარე სოფლებში სტიქიური მოვლენების პრევენციის მიზნით მდინარის კალაპოტის გაწმენდას, სანიაღვრე არხების და სახიდე გადასასვლელების მოწყობას გულისხმობდა, მშენებელს შეექმნა ფინანსური პრობლემები. ითხოვს ხელშეკრულების შეყვეტას, რასაც განიხილავს მერიის იურიდიული განყოფილება.

სტიქიის ლიკვიდაცია

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, 7 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ აქტიური სამუშაოები მიმდინარეობს. როგორც მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი 950 000 ლარით ასევე თანადაფინანსებით (ადგილობრივი ბიუჯეტი):

2019 წელში გადმოვიდა 2017 წლის სტიქიის რამდენიმე ობიექტი, რაც ნამდვილად არასახარბიელოა. დეტალურად მოგახსენებთ შეფერხების გამომწვევ მიზეზებს და გარემოებებს: პირველი, რაც აუცილებლად ხაზგასმით უნდა აღინიშნოს არის ის, რომ სტიქიის ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ მთავრობის განკარგულება მივიღეთ 2017 წლის ბოლოს, 27 დეკემბერს. სამუშაოები იყო სპეციფიკური (ხიდები, დაკიდული ხიდები და მილხიდები) ამიტომ საპროექტო ორგანიზაციები თავს იკავებდნენ ტენდერში მონაწილეობის მიღებაზე. ტენდერი არ შედგა და განმეორებით გამოცხადდა რამდენჯერმე, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების ხელშეკრულება გაფორმდა 2018 წლის 9 მარტს, ხოლო საბოლოოდ, ავტორმა ექსპერტიზაგავლილი პროექტები წარმოადგინა 2018 წლის დეკემბერში, რის შემდეგაც გამოცხადდა ტენდერები, ზამთრის პირობებში რათქმაუნდა გამწვანებული იყო პროექტების მომზადება:

ჯამში 2018 წელს განსახორციელებელი 9 პროექტიდან 2019 წელს დასრულდა 6 პროექტი, სამუშაოები მიმდინარეობს 1 პროექტზე, ტენდერი მიმდინარეობს და შერჩევა შეფასებაზეა - 2 პროექტი.

სოფლის მხარდაჭერა

2019 წელს დაიწყო სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ხარაგაულს გამოეყო **890 000** ლარი. პროექტების შერჩევის მიზნით ყველა სოფელში ჩატარდა მოსახლეობასთან შეხვედრა, შეირჩა **147** პროექტი. ხელშეკრულება გაფორმდა ორ საპროექტო ორგანიზაციასთან, რომლებმაც წარმოადგინეს ექსპერტიზა გავლილი პროექტები. ამ ეტაპზე ხელშეკრულება გაფორმებულია ყველა პროექტზე. დასრულებულია **141** პროექტი, სამუშაოები მიმდინარეობს **6** პროექტზე.

მუნიციპალიტეტში მიმდინარე მასშტაბური პროექტები.

უნდა აღინიშნოს, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2019 წელს უპრეცედენტო რაოდენობის მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები დაფინანსდა.

აქტიურ ფაზაში მიმდინარეობს მუნიციპალიტეტში შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის 50 კილომეტრიანი მონაკვეთის კაპიტალური რეაბილიტაცია, როგორც პირველ ძირულა-ხარაგაული-მოლითის 25 კილომეტრიან მონაკვეთზე, ასევე მეორე ლოტზე - მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის 25 კილომეტრიან მონაკვეთზე.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2019 წელს დაიწყო ასევე, ავტობანის მშენებლობა, რომლის სამივე ლოტიდან - ჩუმათელეთი-ხევის(F1), ხევი-უბისას(F2) და უბისა-შორაპნის(F3) მონაკვეთებზე სამუშაოები აქტიურ ფაზაშია და პროექტებზე ასეულობით მილიონი ლარი იხარჯება. აღსანიშნავია, რომ სამუშაოებზე დასაქმებულია ადგილობრივი მოსახლეობა.

დაფინანსდა და დაიწყო ადგილობრივი მნიშვნელობის ღორეშა-ბაზალეთის დამაკავშირებელი 11 კმ-იანი გზის რეაბილიტაცია, რომლის ღირებულება 9 მილიონი ლარია. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ხსენებულ გზაზე მომზადდა ახალი პროექტი, რადგან ძველი პროექტი იყო ხარვეზიანი და სწორედ ამის გამო ვერ ხერხდებოდა ამ დრომდე სამუშაოების დაწყება. გზის მშენებლობის პროექტის ფარგლებში, სოფელ საბეში, მდინარე ყარნებაზე აშენდება ახალი საავტომობილო ხიდი.

2019 წელს დაფინანსდა და აქტიურად მიმდინარეობს დაბა ხარაგაულში საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობა.

მიმდინარეობს ნადაბურიდან საჩხერის მუნიციპალიტეტთან დამაკავშირებელი გზის 6 კილომეტრიანი მონაკვეთის და აღნიშნულ გზაზე ახალი საავტომობილო ხიდის მშენებლობისთვის პროექტის მომზადება.

მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გამოცხადდა და შედგა ტენდერი მარელისის, ვერტყვიჭალის და წყალაფორეთის საჯარო სკოლების რეაბილიტაციისთვის საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვაზე.

მერია, აქტიურად მუშაობს ყველა შესაბამის უწყებასთან, რათა მოხდეს დაბა ხარაგაულში წყალანირების სისტემის მოწყობა და დაბის ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია.

მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საკითხებში განხორციელებული საქმიანობა საანგარიშო პერიოდში.

სპორტი და ახალგაზრდობა

როგორც მოგახსენეთ ჩვენთვის პრიორიტეტს წარმოადგენს ხარაგაულში კულტურის, განათლების და ახალგაზრდული ინიციატივების დაფინანსება და ხელშეწყობა.

შესაძლებლობის და არსებული რესურსის ფარგლებში არ მახსენდება შემთხვევა, რომ კულტურის, სპორტის, განათლების და ახალგაზრდული პროგრამების ხელშეწყობის მიზნით მხარდაჭერა არ გამოგვეხატოს. ზემოთ ხსენებულ სფეროს მერიაში კურირებს შესაბამისი სამსახური, რომელიც წლის განმავლობაში ათეულობით ღონისძიების ორგანიზატორია.

მათ შორისაა სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, რომელიც ყველაზე მასშტაბური სპორტული პროექტია. 2019 წელს ოლიმპიადაში მონაწილეობა მიიღო ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 16 საჯარო სკოლის 400-მდე მოსწავლემ.

თებერვლის თვეში ჩატარდა მინი ფეხბურთის ჩემპიონატი სპორტისა და შიდა ტურიზმის განვითარების ცენტრთან ერთად.

მარტის თვეში ჩატარდა ინტელექტუალური თამაში „რა, სად, როდის“ ორგანიზაციებს შორის.

სარვამართოდ მოეწყო ქალთა ნამუშევრების გამოფენა კინოთეატრის ფოიეში და აგრეთვე ჩატარდა სამუსიკო სკოლასთან არსებული ბენდ „გრავეს“ კონცერტი.

7 მარტს მოეწყო სკოლამდელი აღზრდის პედაგოგებთან შეხვედრა, სადაც ღვაწლმოსილი პედაგოგები დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით.

5 აპრილს, სპორტის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით ჩატარდა ღონისძიება, სადაც სპორტის ღვაწლმოსილი პედაგოგები დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით.

9 აპრილიდან დაკავშირებით ღონისძიება მოეწყო დაბაში და სოფელ ბაზალეთში, სადაც გაიმართა ბაზალეთის მკვიდრის, 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპულის ელისო ჭიკაშვილის ხსოვნის საღამო და სკოლასთან გაშენდა მისი სახელობის ხეივანი.

ღვთისმშობლის წილხვედომობის დღესთან დაკავშირებით, 10 მაისს საქართველოს ხალხური შემოქმედების ცენტრის და საპატრიარქოს ორგანიზებით ჩატარდა კონცერტი ქალთა ანსამბლ „იალონის“ მონაწილეობით.

26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით გაიმართა კონცერტი.

27 მაისს ვუმასპინძლეთ კულტურის სამინისტროს პროექტს „ცოცხალი წიგნები“.

1 ივნისს მერიის ორგანიზებით ჩატარდა „ახალგაზრდული ფესტივალი“, ასევე კულტურისა და დასვენების პარკში მოეწყო ბავშვებისათვის ანიმაციური გმირების შოუ.

ივნისის თვეში ჩატარდა ტურნირი მიზანში სროლაში. მონაწილეობა მიიღო 11 საჯარო სკოლის 60-მდე მოსწავლემ. გაიმართა სამოყვარულო ლიგის ჩემპიონატი ფეხბურთში, ასევე ოლიმპიური გარბენი სპორტის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით.

ივლისის თვეში გაიმართა სამაგიდო თამაშების ჩემპიონატი.

20 ივლისიდან 25 აგვისტოს ჩათვლით მონაწილეობა მივიღეთ იმერეთის რეგიონის ადმინისტრაციულ ერთეულებში სახელმწიფო რწმუნებულის თასის გათამაშებაზე მინი ფეხბურთის ჩემპიონატში.

აგვისტოს თვეში მიმდინარეობდა ტირის ჩემპიონატი ორგანიზაციებს და ახალგაზრდებს შორის.

აგვისტოში ჩატარდა ტრადიციული სახალხო დღესასწაული „ვახანობა“. გაიმართა შეჯიბრი დოღში და ქართულ ჭიდაობაში.

სექტემბერ-ოქტომბერში სოფელ ხიდარსა და ზვარეში გაიმართა დოღი. მონაწილეთა დაჯილდოება მოხდა კულტურის სამსახურის მიერ.

27 სექტემბერს ევროპის სპორტის კვირეულის ფარგლებში გაიმართა მართონი.

ოქტომბერში აღინიშნა პედაგოგთა პროფესიული დღე და პედაგოგებს გადაეცათ საჩუქრები.

2019 წელს პირველად ჩატარდა ჩემპიონატი სპორტინგში. გამარჯვებულებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები.

უკვე რამდენიმე წელია კულტურის სამსახური მხარს უჭერს პროექტს „ნიკო კეცხოველი“, წელს კულტურის სამსახურის დაფინანსებით მოხდა პროექტში ჩართული მოსწავლეების ტრანსპორტირება ფოთში, პალიასტომის ტბაზე.

26 ოქტომბერს მონაწილეობა მივიღეთ ფესტივალ „სულიკო 2019“-ში, სადაც ჩვენმა მონაწილემ ნინო რამიშვილმა აიღო მეორე ადგილი.

მთელი წლის განმავლობაში მრავალფეროვანი ღონისძიებები ტარდებოდა ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში, სხვადასხვა სახის კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტებს და აქტივობებს ახორციელებდნენ ბიბლიოთეკაში, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში, სამუსიკო სკოლაში, ბაღების გაერთიანებასა და სპორტისა და შიდა ტურიზმის განვითარების ცენტრში, ასევე, კულტურის ცენტრში.

აქტიურ მუშაობას ეწევა რეზო თაბუკაშვილის სახელობის ლიტერატურული თეატრი, რომელმაც ათეულობით სპექტაკლი გამართა არა მარტო ხარაგაულში, არამედ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. ოქტომბრის თვეში თეატრის ორგანიზებით ღორეშაში გაიმართა სამხატვრო პლენერი „გამა - 2019“, 12 დეკემბერს კი, დოკუმენტური ფილმის „ფარცხნალი კორიფეთა სამკვიდრო“ პრემიერა.

წარმატებით მოღვაწეობს ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრი, რომელიც წელს 120 წლის იუბილეს აღნიშნავს. 2019 წლის იანვარში ქართული თეატრის დღესთან დაკავშირებით, თეატრმა დადგა სპექტაკლი „ინდაური ინდიკოს სახალწლო თავგადასავალი“. ჩატარდა 4 სპექტაკლი, სრული ანშლაგით. თეატრმა ტრადიციულად მონაწილეობა მიიღო იმერეთის თეატრალურ ფესტივალში, რომელზეც სპექტაკლმა სამ ნომინაციაში მიიღო ჯილდო. მათ შორის მთავარი ნომინაცია - საუკეთესო რეჟისურა. ივლისის თვეში თეატრი მიწვეული იყო ლიმბაჟის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე, სადაც ნაჩვენები იქნა სპექტაკლი „ორნი“.

2019 წელს ხარაგაულის კულტურის ცენტრთან არსებულმა თოჯინების თეატრმა პერიოდულად სპექტაკლები გამართა მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელში.

მაისის თვიდან ხალხური შემოქმედების სახლის ბაზაზე ჩამოყალიბდა სალოტბარო სკოლა, სადაც ნიჭიერ ბავშვებს საშუალება ეძლევათ სწავლა გააგრძელონ ამ კუთხით.

მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ჯანდაცვასა და სოციალურ დაცვაში განხორციელებული საქმიანობა საანგარიშო პერიოდში.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიისთვის მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობა, მათთვის ჯანდაცვის სერვისებზე ფინანსური ხელმისაწვდომობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და დაავადებათა პრევენციული ღონისძიებების გატარება კვლავ პრიორიტეტს წარმოადგენს.

მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური არსებული რესურსის ფარგლებში აქტიურ პოლიტიკას ატარებს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კუთხით.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ამ მიმართულებით განხორციელებული პროგრამები და ღონისძიებები საკმაოდ მრავალფეროვანია და აერთიანებს ექვს ძირითად და 22 ქვეპროგრამას.

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს გასულ წელთან შედარებით მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე 158 100 ლარით მეტი დაიგეგმა, საერთო ჯამში საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი ბიუჯეტიდან მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე დახარჯულია 985 560 ლარი.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის განკარგვის მიზნით შექმნილი კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე მერის სარეზერვო ფონდიდან სოციალურ პროგრამებზე გამოყოფილი იქნა 39 000 ლარი.

აქედან 10 000 ლარი გადაირიცხა სოფელ მარელისში მცხოვრებ მამუკა ლორთქიფანიძის მრავალშვილიანი ოჯახისთვის სახლის ასაშენებლად.

10 000 ლარით სოფელ ბეჟათუბანში მცხოვრებ თამაზი კაკიაშვილისთვის შეძენილი იქნა კაპიტალური სახლი, რომელსაც რკინიგზის მშენებლობის დროს სრულიად დაენგრა საცხოვრებელი.

10 000 ლარით სოფელ ვახანში ხანძრის შედეგად დაზარალებული მხატრიშვილების მრავალსულიანი ოჯახისთვის შეძენილი იქნა სახლი.

6000 ლარი გამოყოფილი იქნა განსაკუთრებით მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე მოქალაქეებისთვის.

3000 ლარი კი, მიიმართა სტიქიის შედეგად დაზარალებული მოქალაქეებისთვის ცემენტის შესაძენად.

ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, ხარაგაულის სათნოების სახლში, დღეის მდგომარეობით, კვირაში ექვსი დღე, უფასო სადილს იღებს 73 ბენეფიციარი.

ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრმა მიმდინარე წელს განახორციელა 10 სხვადასხვა პროგრამა. გარდა დელეგირებული უფლებამოსილებით განსაზღვრული სახელმწიფო პროგრამებისა, ჯანდაცვის ცენტრი საკუთარი ინიციატივით და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ახორციელებს სხვადასხვა პროგრამებს: ჩატარდა მოზარდების ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიების კვლევა, კიბოს სკრინინგი. მიმდინარეობს C ჰეპატიტის, შიდსის და ტუბერკულოზის ინტეგრირებული საპილოტე სკრინინგ-პროგრამა.

შიდა აუდიტი და მონიტორინგი

2019 წლის წლიური გეგმით, გათვალისწინებული იყო ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული 5 ა(ა)იპ-ის, სოფელ ბორის საჯარო სკოლის, შპს „ხარაგაული 2011“-ის, მერიის ერთი სტრუქტურული ერთეულისა და ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის მუნიციპალური პროგრამის, საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვის ქვეპროგრამის შიდა აუდიტორული შემოწმება. აღნიშნულ ობიექტებს ჩაუტარდათ ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი, გარდა მუნიციპალური ქვეპროგრამისა. აღნიშნულის შიდა აუდიტორული შემოწმება 2019 წლის განმავლობაში არ მომხდარა, რადგან ამ პერიოდში განხორციელდა მუნიციპალიტეტის მერიის აუდიტორული შემოწმება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ და ქვეპროგრამის შიდა აუდიტორული შემოწმება განხორციელდება მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდება სახელმწიფო აუდიტის დასკვნა. მნიშვნელოვანია, რომ შიდა აუდიტორული შემოწმებების საფუძველზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესამოწმებლად აღნიშნულ ობიექტებზე კვლავ განხორციელდა მონიტორინგი. საერთო ჯამში, შიდა აუდიტის ობიექტებზე, 2019 წლის განმავლობაში, არსებული ხარვეზებისა და რისკ-ფაქტორების აღმოფხვრის მიზნით გაიცა 50 სხვადასხვა ტიპის რეკომენდაცია, საიდანაც დიდი ნაწილი გათვალისწინებულ იქნა ობიექტების მიერ. გაუთვალისწინებელი რეკომენდაციებისა და კვლავ არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად სამსახური აქტიურად თანამშრომლობს მუნიციპალიტეტის სტრუქტურულ ერთეულებთან და იურიდიულ პირებთან.

მერიის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა.

2019 წელს მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელიდან ბიუჯეტში შემოვიდა **45 359** ლარი.

ზედამხედველობის და არქიტექტურის სამსახურის მიერ მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების გაცემა მოხდა **14** სამშენებლო ობიექტზე.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სამშენებლო პროექტების შეთანხმება **36** სხვადასხვა ობიექტზე:

მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდა **14** ობიექტზე:

გაიცა ერთი დემონტაჟის ნებართვა, მოხდა ერთი ობიექტის ვარგისად აღიარება.

2019 წლის საანგარიშო პერიოდში, ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურმა რეაგირება მოახდინა გარემოს ეროვნული სააგენტოდან შემოსულ 11 წერილზე, რომლებიც შეეხებოდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში, სასმელი წყალი, მარმარილოსებრი კირქვა და ა.შ.) მოპოვების ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მერიის პოზიციას.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიამ სასარგებლო წიაღისეულის ლიცენზიის გაცემაზე დადებითი პოზიცია გამოხატა 6 ლოკაციაზე, უარყოფითი კი, ასევე 6 ლოკაციაზე:

ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ ყველა დაგეგმილ და განსახორციელებელ პროექტზე შესაბამის სამსახურებთან და მერიაში შექმნილი კონტროლის ჯგუფთან ერთად განხორციელა ზედამხედველობა შესასრულებელ სამუშაოებზე.

ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურმა კომპენტენციის ფარგლებში შეისწავლა და მოახდინა შესაბამისი რეაგირება მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულ მოქალაქეთა განცხადებებზე.

მოქალაქეთა პრობლემებზე მერის მიერ რეაგირების ფორმები:

მოქალაქეთა პრობლემებზე რეაგირება ხდება იმ პროგრამებისა და პროექტების მიხედვით, რომელიც მერიამ შეიმუშავა საქმიანობის სხვადასხვა სფეროში. სოციალური დახმარებისა და ჯანდაცვის პროგრამები, ასევე, სარეზერვო ფონდიდან გაცემული დახმარებები.

ხარაგაულის მერიაში კვირაში ორი დღე არის მოქალაქეთა მიღების დღე, როცა ვხვდებით მოქალაქეებს, ვისმენტ მათ პრობლემებს და შესაბამის სამსახურებთან ერთად ვსახავთ მოგვარების გზებს.

ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ხდება მოქალაქეთა განცხადებებისა და პრიორიტეტების განსაზღვრის გზით. მერიის მხრიდან, საჭიროების შემთხვევაში, ხორციელდება შუამდგომლობა სახელმწიფო სტრუქტურებსა და კერძო კომპანიებთან, კონკრეტული პრობლემის მოგვარების მიზნით.

ასევე, პირადად ვეცნობი, ხარაგაულის მერიის და მერის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდებზე შემოსულ წერილებს, რაზეც საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომლების ჩართულობით, შესაბამის სამსახურებთან კონსულტაციების გავლის შემდეგ, ვპასუხობთ მოქალაქეებს. ხშირ შემთხვევაში მივდივართ და ადგილზე ვეცნობით პრობლემებს, გუნდთან ერთ დ ვსახავთ მო გვარების გზებს

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება ადმინისტრირებას უწევს ასევე, ვებ-გვერდს www.kharagaulineews.gov.ge, სადაც ყოველდღიურ რეჟიმში ქვეყნდება ინფორმაცია მუნიციპალიტეტში მიმდინარე პოლიტიკურ, ინფრასტრუქტურულ, სოციალურ-კულტურულ, სპორტულ, თუ სხვა სახის ღონისძიებების შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წლის შემოდგომაზე აქტიურად ჩავერთეთ პროექტში - „ღია შეხვედრები“, რომელიც ცენტრალური ხელისუფლების მიერ, სამხარეო ადმინისტრაციასთან და ადგილობრივ თვითმმართველობასთან ერთად, ყველ ა სოფ ელში მოსახლე ეობასთ ან შეხვდ რ ების მიზ ნით დაიგეგმა. გამოიკვეთა რიგი პრობლემები, მათ შორის რამდენიმე თითქმის იდენტური. მერიაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც აღწერდა შეხვედრების დროს დასმულ საკითხებს დ ა ინიშნავდ ა პრო ბლემებს. გვაქვს სპეციალური ცხრილი, სადაც თითოეული პრობლემაა გაწერილი, რომლის მიხედვითაც ვხელმძღვანელობთ, მათ შორის რამდენიმე საკითხი უკვე დადებითადაა გადაჭრილი, ხოლო ზოგიერთი მათგანი დაიგეგმა 2020 წლის ბიუჯეტში.

მუნიციპალიტეტის მერის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა:

მალიან მნიშვნელოვანია, რომ მხარი დაუჭირეთ და 2019 წელს რეალობად ვაქციეთ ახალგაზრდების მიერ წმოყენებული ინიციატივა ხარაგაულში რაგბის გუნდის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით. დაპირება შევასრულეთ და დღეს, ხარაგაულში კიციხის სტადიონის ბაზაზე ფუნქციონირებს რაგბის გუნდი, რომელიც უკვე რაგბის კავშირის წევრია.

არსებული რესურსით ვერთვებით 12 მაისს, ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღისადმი მიძღვნილ პილიგრიმულ ტურში, რომელიც მთა რკინის ჯვარზე მსვლელობით აღინიშნება. ანდრიაობა ხარაგაულელი ახალგაზრდების ორგანიზებითა და მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით მეოთხე წელია უფრო მეტ მასშტაბებს იძენს და ტურში საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ერთვებიან.

ჩვენს მიერ ინიცირებულ საკითხთა შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვნად მიმაჩნია საჯარო მოხელეთა ტრენინგების პროგრამა, რომელიც მეორე წელია ტარდება ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით. 2019 წელს ტრენინგები მოიცავდა როგორც თეორიულ მასალას ასევე, ორიენტირებული იყო პრაქტიკულ უნარ-ჩვევებზე. მსმენელებისაგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე შემიძლია ვთქვა, რომ ტრენინგებმა დადებითი შედეგი აჩვენა, განსაკუთრებით გუნდურობაში და ეფექტური კომუნიკაციის დამყარებაში.

აღბათ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რა განვითარება მოყვა ხარაგაულელი ახალგაზრდების ინიციატივითა და მერიის ხელშეწყობით დაგეგმილ შეხვედრას საქართველოში ამერიკის ელჩის მოვალეობის შემსრულებელ ელიზაბეთ რუდთან. მისი დახმარებით მოხდა usaid-თან დაკავშირება და ხარაგაულში დაფინანსდა პროექტი, რომელიც ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკის მიმდებარე სოფლებში მარელისა და ლელვანში ეკოტურიზმის განვითარებისთვის რამდენიმე კომპონენტთან პროგრამას მოიცავდა. მთელი წლის განმავლობაში USAID -ის დაფინანსებითა და საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაციის ორგანიზებით მიმდინარეობდა პროექტები, რომლებიც სხვადასხვა სასწავლო პროგრამებსა და საოჯახო და მცირე მეწარმეობის განვითარების მიზნით ტრენინგებს მოიცავდა. პროექტის ფარგლებში ჩატარდა ინფო ტური სოფელ სახულარში, ფუნქციონირება დაიწყო საოჯახო სასტუმროებმა, დაფუძნდა მცირე მეწარმეები, რომლებიც ადგილობრივ პროდუქტს აწარმოებენ. პროექტის დასასრულს დამზადდა ტურისტული საინფორმაციო ბანერები, რომლებიც განთავსდა დანიშნულების ადგილებზე, ასევე, დაიბეჭდა საინფორმაციო გზამკვლევი. ვიმედოვნებთ, რომ გზის რეაბილიტაციის შემდეგ ბორჯომ-ხარაგაულის პარკში ხარაგაულის მხრიდან ტურისტთა ნაკადი მოიმატებს, რაც კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს ხარაგაულში ეკოტურიზმის განვითარებას.

მიმდინარე წელს ხარაგაულში გაიხსნა საბალეტო სტუდია, რომელიც წარმატებით ფუნქციონირებს. ბავშვებს და მოზარდებს თბილისიდან მოწვეული სპეციალისტი ამეცადინებს და გარდა ბალეტისა სტუდიაში ფუნქციონირებს ასევე, ტანვარჯიშის წრე.

2019 წელს სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის დაფინანსებით და ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერით დაბა ხარაგაულში გაიხსნა ზრდასრულთა განათლების ცენტრი, სადაც უფასოდ მიმდინარეობს 10-ზე მეტი სხვადასხვა სახის ხელობის შესწავლა. მინდა მადლობა გადავუხადო ყველას ვინც განსაკუთრებული წვლილი შეიტანა აღნიშნული ცენტრის გახსნაში, რომელიც იმერეთ ში, მხოლოდ ოდ ორ მუ ნიციალ იტ ეტ ში ფ უ ნქციონირ ებს დ ა ეს ჩვენთ ვის ნამდ ვილ ად დიდი ფუ ფ უ ნებაა. ჩვენ სახეზე გვაქვს მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, სადაც ასევე არის საკონფერენციო დარბაზი, რომელსაც ვიყენებთ სხვადასხვა საჭიროებებისთვის.

აუცილებელია ვისაუბროთ ასევე წლის მნიშვნელოვან პროექტზე, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები ქვეყნის მომავლისათვის“ ინიციატივით, BP-ის დაფინანსებითა და ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერით ხარაგაულის საბავშვო ბაღებში განხორციელდა. ეს არის უპრეცედენტო პროექტი „ალტერნატიული ენერჯის წყაროები და მისი გავლენა ადგილობრივი თემის განვითარებაზე“ , რომლის ფარგლებშიც მუნიციპალიტეტის ოთხ საბავშვო ბაღში დამონტაჟდა მზის

ენერგოეფექტური პანელები, რითაც საგრძნობლად დაიზოგება ელექტროენერგია და გამოთავისუფლებული თანხები ბაშვების სხვადასხვა საჭიროებებზე იქნება მიმართული.

მალიან მნიშვნელოვანია, რომ 2019 წელს მოხდა დაბის პირველი საბავშვო ბაღის გაზიფიცირება და ბაღში მოეწყო ცენტრალური გათბობა.

ვიმედოვნებთ, რომ 2020 წელი კიდევ უფრო ნაყოფიერი იქნება ხარაგაულისთვის. პერიოდულად ვატარებთ შეხვედრებს მოსახლეობასთან, ვისმენთ სოფლებში არსებულ პრობლემებს და მათთან ერთად ვსახავთ მოგვარების გზებს.

მიმდინარე წლიდან დაიწყო პროექტი „წყალი ყველა სოფელს“, რომლის ფარგლებშიც მოსახლეობის მოთხოვნებიდან გამომდინარე წყლის სისტემების მოსაწყობად შევისყიდეთ მილები და წყლის ავზები. მერიამ მიმდინარე წელსვე მეორე ეტაპად დაიწყო წყლის მილების შექმნა და უახლოეს წლებში ხარაგაულში არ დარჩება სოფელი, სადაც წყლის პრობლემა არ იქნება მოგვარებული.

ყველაფერს ვაკეთებთ რომ ხარაგაული გახდეს უფრო მოწესრიგებული და მიმზიდველი.

ჩვენი გუნდი ვმუშაობთ სრული დატვირთვით, რათა თითოეულმა ხარაგაულელმა იგრძნოს ის სიკეთე, რასაც ჩვენი ხელისუფლება აკეთებს ხალხისთვის. მიუხედავად გამოწვევებისა, რომელსაც ჩვენ, ყველა ერთად აუცილებლად გავუმკლავდებით, თვალსაჩინოა, რომ ხარაგაულში ასეთი რაოდენობის პროგრამები და პროექტები არასდროს განხორციელბულა.

პატივისცემით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე